პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—აპრილი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის ორი მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების, ცოლ-ქმრის მერი პაკელიანის და ალექსანდრე გამსახურდიას სახელების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მერი პაკელიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ალექსანდრე გამსახურდიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:483215 Y:4621349
X:483246 Y:4621315
მერი პავლიაშვილის ქ.
X:483398 Y:4621281
N
1:1,000

X:483141 Y:4621429
ალექსანდრე გამსახურდიას ქ.
X:483204 Y:4621339
N
1:1,000

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—აპრილი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ორი უსახელო ჩიხისთვის და ჯავის II შესახვევის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მრბრძოლის ლილი თაკვარელიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ ორ უსახელო ჩიხს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლილი თაკვარელიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ნაძალადევის რაიონში, ჯავის II შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლილი თაკვარელიას I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:483571 Y:4621561
III ჩიხი
ლილი თაკვარელიას ქ.
X:483674 Y:4621553
X:483214 Y:4621483
II ჩიხი
X:483428 Y:4621468
ლილი თაკვარელიას ქ.
X:483472 Y:4621442
X:483363 Y:4621435
I ჩიხი
X:483483 Y:4621390
N
1:2,000

ბათუმის [illegible] და [illegible]
[illegible] თავმჯდომარეს ქალბატონ [illegible],
[illegible] [illegible], [illegible] [illegible] ქუჩა
[illegible] [illegible]
ტელ: +995 514 33 69 69
ელ. ფოსტა: tsetskhladze.davit@yahoo.com
დავით ცეცხლაძე პ/ნ 61001080798

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ჩვენ [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] და [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible], "[illegible]" [illegible].

[illegible] [illegible], რომ ჩვენ [illegible] [illegible] [illegible], [illegible] და [illegible] [illegible], [illegible] და [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible], რომ ჩვენ [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

1. დავით ცეცხლაძე
2) [illegible] [illegible]
3) ვერა [illegible]
4) თამარ
5) ლია
6) ლ.
7) [illegible]

9. [illegible] [illegible]

10. [illegible] [illegible]

11. [illegible] [illegible] [illegible]

12. [illegible] [illegible] [illegible]

13. [illegible] [illegible] [illegible]

14 [illegible] [illegible]

15 [illegible] [illegible]

30.06.2023

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

23 / იანვარი / 2024 წ.

KA011704856228224

№ **14084**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება 2024 წლის 16 იანვრის M24000751 განცხადებასთან დაკავშირებით უძრავი ნივთის მისამართის დაზუსტების თაობაზე.

მოგახსენებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტები შემდეგი სახელწოდებებით: „ქალაქი თბილისი, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩა“ და „ქალაქი თბილისი, ვლადიმერ კოკინაკის ჩიხი“.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისა და სააგენტოს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების სისწორის გადამოწმების მიზნით, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქალაქ თბილისში არსებული „ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის“ და „ვლადიმერ კოკინაკის ჩიხის“ გავრცელების არეალის (მოხაზულობის) შესახებ სიტუაციური რუკის სახით.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

თბილისის საკრებულოს სახელდებისა

და სიმბოლიკის თავმჯდომარეს

ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

მოქალაქე: დავით ცეცხლაძის

პ/ნ 61001080798

მის: თბილისი, ნაძალადევი, ვ.კოკინაკის 18ა

ელ.ფოსტა: tsetskhladze.davit@yahoo.com

მობ: +995 514 33 69 69

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 30 ივნისს, მოგმართეთ განცხადებით, #19/0323181195-03 რომელიც ეხება, ქუჩის სახელის შეცვლის საკითხს, მოგახსენებთ, რომ ამ დრომდე მხოლოდ უფლებამსული პირი გამოცხადდა, რომელმაც ადგილზე დაათვალიერა ქუჩა, ჩემი ინფორმაციით გადაიღო ფოტოსურათი შემდეგომი რეაგირებისთვის. მოგახსენებთ, ჩემ განცხადებას თან ახლდა მეზობლების ხელმოწერებიც, მინდა მოგმართოთ თხოვნით, პირველივე შესაძლებობისთანავე დააკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნა.

გთხოვთ, ნებისმიერი პასუხი გამომიგზავნოთ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

17/10/2023

დავით ცეცხლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0324088119**
თარიღი: **28/03/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი დავით ცეცხლაძის და კოკინაკის ქუჩის მაცხოვრებაელთა 2023 წლის 30 ივნისის საქმე #19/0323181195-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის სახელის ცვლილება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ კოკინაკის ქუჩის სამი სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად. (ქუჩა ფაქტობრივი მოცემულობის შესაბამისად იყოფა სამ ქუჩად. დანართზე წითელი ფერით მონიშნულია ძირითადი ქუჩები, ხოლო ყვითლად აღნიშნულია ჩიხები, შესახვევები და გასასვლელები).

დანართი 6 (ექვსი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01240963854**
თარიღი: **05/04/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 28.03.2024 წლის # 03-0324088119 (28.03.2024 წ. #14-01240882875-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. 3 დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მერი პაკელიანი

(1954-1993)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, მედდა, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი

დაიბადა 1954 წლის 12 ივნისს ქალაქ სოხუმში.საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სოხუმის სამედიცინო ტექნიკუმში. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო კამანში არსებულ მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატში მედდად.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისათანავე მერი პაკელიანი გვერდით დაუდგა თანასოფლელებს. ასეულის მებრძოლებს ეხმარებოდა და საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას უწევდა. ასეულში სხვა თანასოფლელებთან ერთად მისი მეუღლე- ალექსანდრე გამსახურდიაც იბრძოდა.

1995 წლის 5 ივლისს მოწინააღმდეგის მხრიდან კამანზე განხორციელებულ იქნა ფართომასშტაბიანი შემოტევა, გენერალ ლებედის საშტურმო-სადესანტო ბატალიონის მეშვეობით, რომელსაც ასეულის 40 კაციანი ჯგუფი უწევდა წინააღმდეგობას. მერი თანამებრძოლებს მჭიდებს უტენიდა და ამარაგებდა. როდესაც მტერი ახლო დისტანციაზე მოვიდა, მერის უბრძანეს იქაურობას გასცლოდა და იქვე ახლოს ეკლესიისთვის შეეფარებინა თავი. სწორედ ეკლესიის ეზოში დაიჭრა მერი პაკელიანი. მან სიკვდილის წინ ხელყუმბარა გახსნა და მტრის 4 ბოევიკი შეიწირა. მერი პაკელიანს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი.



ალექსანდრე გამსახურდია

(1947-1993)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი

დაიბადა 1947 წლის 30 აგვისტოს სოფელ კომანში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. ჯარიდან დაბრუნებულმა მუშაობა დაიწყო კომანის მარმარილოს კარიერში.

1992 წელს ალექსანდრე თანასოფლელებთან ერთად სამშობლოს სადარაჯოზე დადგა. ირიცხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-8 ბატალიონის მე-3 ასეულში.

1993 წლის 5 ივლისს ალექსანდრე პირველ საგუშაგოზე მორიგეობდა. მის გვერდით იყო მეუღლე მერი პაკელიანიც, რომელმაც წინა დღეებში მცირეწლოვანი შვილები იქაურობას გაარიდა და უკან დაბრუნდა, სადაც ერთ-ერთი ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპნენ.

სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, ვაჟკაცობისა და თავგანწირვისთვის ალექსანდრე გამსახურდია დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის ხარისხის ორდენით.

ლილი თაკვარელია

(1970-1993)

1993 წლის 22 სექტემბერს, ბაბუშერას აეროპორტში, აფეთქებულ თვითმფრინავში ჩაიწვა. მუშაობდა შინაგან ჯარებში კინოლოგად. 1997 წელს, ტყვეთა გაცვლის კომისიის დახმარებით ჩამოასვენეს თბილისში. სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენზე წარადგინეს. დოკუმენტი დღემდე ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში ინახება. ლილი თაკვარელიას მშობლები გარდაცვლილი ჰყავს. ძმა კი, დაუზუსტებელი ინფორმაციით, რუსეთში ცხოვრობს. სამწუხაროდ, არავინ დარჩა, ვისაც ამ ჯილდოს გადასცემენ.